

**კურორტ „გოდერძის“ მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის  
წინასაპროექტო კვლევისა და განვითარების კონცეფციის სტრატეგიული  
გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის განცხადებაზე გადაწყვეტილება**

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა, „გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N420 დადგენილების მე - 4 მუხლის შესაბამისად განიხილა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან 2021 წლის 12 მარტის № 23253 წერილით გადმოგზავნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული კურორტ „გოდერძის“ მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევა და განვითარების კონცეფცია.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალმთიან მუნიციპალიტეტში - ხულოში, კურორტ „გოდერძის“ მომიჯნავე ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 114.8 ჰა-ს, დაგეგმილია სხვადასხვა ინტენსივობის მქონე საცხოვრებელი უბნების, სასტუმრო კომპლექსის, საზაფხულო ბანაკის და სპორტული ცენტრის მშენებლობა. დოკუმენტების თანახმად, საპროექტო არეალი (114.8 ჰა) წარმოადგენს ძირითადად სწორ, გაუნაშენებელ, მცირე მდინარეების ხეობით დაქსელილ ტერიტორიას და მისი დიდი ნაწილი მოქცეულია ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული უბნის - „გოდერძი GE0000026“- ტერიტორიაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-20 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით სგშ-ის ჩატარება სავალდებულოა ყველა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომლებითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო ამავე კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის. კერძოდ, II დანართით გათვალისწინებული საქმიანობები, როგორცაა 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი და დასასვენებელი კომპლექსური დასახლების (მათ შორის სასტუმროსა და მასთან დაკავშირებული ნაგებობი) მშენებლობა, 9.2. პუნქტის თანახმად საჭიროებს სტრატეგიულ გარემოსდაცვითი შეფასებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სკრინინგის ეტაპზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნას დადებითად და შემდეგ ეტაპზე, დამგეგმავმა ორგანომ წარმოადგინოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ის მოთხოვნებით გათვალისწინებული დეტალური ინფორმაცია.